სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/41

ქ. თბილისი

7 ოქტომბერი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის სახელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 15 სექტემბრის №01-05-04/126 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 7 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებულ სასწავლო ერთეულს - „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების აკადემიურ დეპარტამენტს“ და ეწოდოს „ტელეკომუნიკაციის ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი“;
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-16 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ნ)ტელეკომუნიკაციის ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი.“;
3. აკადემიური დეპარტამენტის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები აისახოს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშტატო განრიგში;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**